



№ 12 (1286) ი ა ვ ი ს ი 1968

საქსუ

გამოცემის 45-ე წელი უახლესი 20 კაპ



— ამოღი, ზე კაცთი სანამ წვიმა გადაიღებს,
მოგაპირავებთ უანს სახლს, თორემ დაიხრჩობი!

სტუმარ-მასპინძელი

(თანამედროვე პროზაული პარიანტი)



ორი წლის ქეთინო ბებიასთან იწვა და არ იძინებდა, მაშინ ბებია მთავის ქალიშვილს ანიშნა, კარებზე დააკაუნენო.
— აჟუნია მოდის, ჩქარა დახუტე თვალეში! — უთხრა ბებია.
— დედიკო, ნუ აბრახუნებ, ბებიკოს ვაძინებ! — გასძახა ქეთინომ დედას.

* * *
დედას მეგობარი ქალი ესტუმრა.
— ნატო, დერეფანში ითამაშე, აქ ხელს გვიშლი!
მეორე დღეს ნატოს ნანიკო და თემური ეწვივნენ.
— დედიკო, გადი დერეფანში, ჩემი სტუმრები მოვიდნენ!
ლალი დარცინილია

* * *
პირდაპირ მასთან მისვლას ვერ ვებღავედი. ვთქვით და არ გამომივიდეს? მაშინ ხომ ყველაფერი წყალში ჩამყარა? არა, სჯობს, სხვაგვარად მოვიქცე: სხვა გზა უნდა მოვხაზო და იგი გადაწვეტს ყველაფერს!
დავსახე სამოქმედო გეგმა: ჭერ მისი ახლო ამხანაგი უნდა გავიცნო, ის ეტყვის ორ სიტყვას და...
გავიკითხე-გამოვიკითხე, მაგრამ მის ამხანაგთანაც ძნელი უოფილა ნაცნობის გამოხსნა. დავიწყე იმ ამხანაგის ნაცნობის ძებნა, მაგრამ იმ ნაცნობის ნაცნობის გაცნობაც გამიძინებდა საოლოოდ იმ უცნობი ნაცნობის მეცამეტე ნაცნობის ნაცნობი აღმოჩნდა ჩემი ნაცნობი.
სწრაფად ავიარე ახალგადაცნობილი ნაცნობ-ამხანაგის გრძელი კიბე და, როგორც იქნა, მივალწეე საწაღელს — ვიშოვიე სამარკო კონია და ერთი უუთი ბორჯომის წყალი.

* * *
— მე სამუშაოს შესახებ...
— ვიცი, ვიცი! ევგენი ანდრევიჩმა დამირეკა... დაბრძანდით! რა ბრძანეთ, ბატონო? არა უშავს თქვენ ამბობთ, რომ ბიოლოგიური გაქვთ დამთავრებული? ეგ არაფერი, ჩვენთან... რა? ევგენი ანდრევიჩის არ იცნობთ? აა! ვიცი, ვიცი! კარლო მხაილოვიჩმა დამირეკა... მართალია, ცოტა ძნელი საქმეა, ფილოლოგის დიპლომი გქონიათ, მაგრამ... რა? დიპლომიც არ გაქვთ? რას იზამ, მეგობრობაც სწორედ ისაა, კაცს მაშინ დაეხმარო... რაო? არც კარლო მხაილოვიჩს იცნობთ? აბა, ვინ გამოგაგზავნათ? არავინ? კაცო, რაზე მაკარგინებდრის, — ჩვენთან მოწყობა შენ ბუმბობა ხომ არ გგონია? ეს პირველი კლასის რესტორანია!

ანდრო კოპოლია
* * *
სხვა სხვის თვალში
ატანასამ: ბა...ჩი...ჩი...ჩას რო...რო...გორ ე...ე...ლდე...ბა ე... ე...ენა, ა...ა...ატყობ? ...
ივლიანამ: როგორ არა.
ატანასამ: სი...სი...სი... მო...მო...ნას?
ივლიანამ: სიმონასაც.
ატანასამ: კა...კა...კა...კა...კიას...ას?
ივლიანამ: კი.
ატანასამ: ვი...ვი...კო...ს?
ივლიანამ: ვივიკოსაც.
ატანასამ: და...და...და...და...დას?
ივლიანამ: აბა, აბა! მაგრამ, შე...შე...შენც რო...ნა...მეტანი გე...გე...შე...შე...შენც ა...ა...თა...ნასე, ა...ა...ტყო...ო...ბ?!..
დავით ხურთია

მტრები არ ყოფილან. პირიქით, მეგობრები იყვნენ. ერთად დაამთავრეს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და თავიანთი სურვილით თავიანთ სოფლებში წავიდნენ სამუშაოდ. მერე დაოჯახდნენ და იშვიტად ხვდებოდნენ ერთმანეთს.
ერთ მშვენიერ დღეს ზვიადური მივლინებით ჩავიდა ჯოჯოლას რაიონში და პირდაპირ მიადგა მეგობრის სახლს. დიდად გაიხარეს ჯოჯოლამ და მისმა ახალშერთულმა ცოლმა აღაზამ. ამ სიხარულს მხოლოდ ჯოჯოლას მიერ საკუთარი ხელით, ნაცნობ-მეგობრობითა და დავიდარებით ნაშრონი შავი ფიქალით აშენებულ ბუნხართან მჭადარი მოხუცი არ იხარებდა. მას ხელში ელექტროგიტარა ეჭირა და ბითლზების უკანასკნელ სიმღერას ამუშავებდა.
შეხიდა თუ არა ზვიადურს, მაშინვე ბოროტად ააპრილა თვალეში. (ამ მოხუცს უცნაური სახელი — კალენიკე ერქვა). ადგა, ფრთხილად გააღო ინგლისური გასაღები და კეტილი კარი და გარეთ გავიდა.
მალე ჩამოუარა ნაცნობ-მეგობრებს და რაიონის საუკეთესო მსმელები შეჰკრიბა.
მართლა ის არის? — ეკლავ ჰკითხა ერთმა მაგარმა მსმელმა მოხუცმა კალენიკეს.
— სული წამიწყდეს, ილარიონ, თუ ცტყუოდე! — ცხარობდა კალენიკე, — ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენთან რომ ზვიადური იყო, იმის შვილია. ხომ გახსოვს, მაშინ რა ცოდვის დღე დაატრიალა, როგორ მოგვიკლა იმ ურჯულომ საწყალი ექვთიმე?
ამის გახსენებაზე ილარიონს ბოროტად აემღვრა თვალეში და შურისსაძიებლად მოემზადა.
— არ შევარჩინოთ! — თქვა მან, — ღვინო ხომ გაქვს ბლომად?
— იცოცხლე! — გაიბადრა კალენიკე და მრავალმნიშვნელოვნად ჩაიციხა უღვაშებში, — კი გაკეთებული ღვინო მაქვს ასი ფუთი.
ჯოჯოლას ეზოში საქმიანად ფუსფუსებდნენ ქალ-რძალნი. ქათმები დაეკლათ, ხაჭაპურები დაეცხობთ. კალენიკემ ცოტაოდენი ჰაჭით, ბევრი შაქრითა და სპირტით შეზავებული „ღვინით“ სავსე ქვევრი მოხადა.
დაიწყო ღრეობა, დატრიალდა ყანწები. პირველივე ჭიქა არ ეჭამნიკა ზვიადურს. „გაკეთებულია!“ — გაუელვა გუნებაში. კალენიკე თვალეში შესცივინებდა...
— საკუთარი ფეხით მაქვს დაწურული, — დაიფიცა კალენიკემ. ზვიადურს არ შეუმჩნევია, რომ კალენიკეს ერთი ფეხი ხისა ჰქონდა.
სვეს და სტუმარსაც მიაძალეს. ზვიადურმა მალე იგრძნო, რომ დათვრა. „აღარ დავლევ მეტს!“ — გაიფიქრა მან.
— რავე, აღაზამ სადღეგრძელოს არ დავლევ?! — შეიცხადა კალენიკე თამადად და უშველებელი ყანწი გადაულოცა. აღაზამ ნაზად გაუღიმა. მას შავი დეკოლტე ეცვა. საამო იყო საცქერლად შავ ფონზე დიაცის თეთრი უბე. აღაზამ ნაზმა დიმილმა სულ გადარია ზვიადური, ყანწი შეიგასო და სულმოუთქმელად დაცალა.
— „ამის მეტს აღარ დავლევ!“ — გაიფიქრა ღვინით გაქლენთილ ტვინში ჭერ კიდევ საღად გადარჩენილმა პატარა ნაწილმა.
— რავე, მიცვალებულების ხსოვნისას არ დავლევ?! — ისევ შეიცხადა კალენიკემ.
— ძალღ იყოს თქვენი მკვდრისა და! — უნდოდა ეთქვა ზვიადურს, მაგრამ გაახსენდა, რომ სხვა ეპოქაში ცხოვრობდა და სტუმარ-მასპინძლობის სხვაგვარი წესები მოქმედებდნენ. გაახსენდა და ეს ყანწიც ბოლომდე დაცალა. ამის შემდეგ ანგარიში დაკარგა — სვა და სვა დილაძდე კალენიკეს ხათრით...
მივლინებიდან შინ დაბრუნებული ზვიადური უეცრად გარდაიცვალა ინფარქტით. დასაფლავებდა ჯოჯოლა, აღაზა და თვითონ კალენიკეც დაესწრნენ.

კობა ქადაგიძე



ნახ. პ. ფირცხალავასი

— ასებრინა ხომ არა გაქვთ?
— მე გატკანი ვარ, ასებრინა გვირღვია.

ყურადღება! ყურადღება! ლაპარაკობს და აჩვენებს თბილისი! ამხანაგო ტელემაყურებლებო და რადიომსმენელებო, ჩვენი მიკროფონები თბილისის „დინამოს“ სტადიონზეა. დღეს აქ ერთმანეთს ხვდებიან თბილისის „დინამოსა“ და ბაქოს „ნეფტჩის“ გუნდები. ეს-ეს არის დაიწყო ამ გუნდების შეხვედრის მეორე ნახევარი. ანგარიშია ცხრით ორი, ცხრით ორი თბილისელთა სასარგებლოდ. მე თქვენ სასწრაფოდ მოგახსენებთ ამ გუნდების შემადგენლობას... თბილისელებს უჭირავთ სამხრეთის კარი, სტუმრებს... თუმცა მაპატიეთ... დარტყმა!.. ეს ტუავეი ურტყამდა. ამრიგად, მეგობრებო, ანგარიში კვლავ შეიცვალა. მაშ ასე: ცხრით სამი, ცხრით სამი თბილისელთა სასარგებლოდ. დღეს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ნემსის ჩასაგდება ადგილიც არ არის დარჩენილი. თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩვენი სტადიონი არც ისე მრავალრიცხოვან მსურველს იტევს. მსოფლიოში ყველაზე დიდი მარაკანას ცნობილი სტადიონი ვახლავთ, ბრაზილიაში. სხვათა შორის, თბილისში ორ ბრაზილიურ კლუბს უთამაშია სხვადასხვა დროს — „ატლეტიკო პორტუგეზასა“ და „ბაიას“. თუ პირველთან შეხვედრაში ანდრო ზაზროშვილმა გამოიჩინა თავი, მეორესთან თამაშის დროს მესხმა პირდაპირ მოხიბლა არა მარტო თავისი გულშემატკივრები, არამედ ზოგიერთი მეტოქეც კი. ვახსოვთ, მეგობრებო, როგორ დასდევდა მიშას თავისი მცველი საკოცნელად. სამწუხაროა, რომ ბრაზილიელთა გუნდი დღეს ის აღარ არის, რაც ადრე იყო. ბრაზილიელთა დიდებამ ანლა ინგლისში გადაინაცვლა. დიახ, ამხანაგო რადიომსმენელებო და ტელემაყურებლებო, ინგლისში უყვართ ფეხბურთი, მაგრამ არა ნაკლებ უყვართ ჩოგბურთიც. გულსატკენია მხოლოდ, რომ სამოყვარულო ჩოგბურთს ასეთ დათვურ სამსახურს უწევენ დოლარს დახარბებულ საქმოსნები. მე მოგახსენებთ ჩოგბურთის ფედერაციის სამარცხვინო გადაწყვეტილებაზე, რომელმაც უიმბლდონის ცნობილი ტურნირი ღია შეჯიბრებად გამოაცხადა... მაგრამ ქართველ გულშემატკივრებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათი სათაყვანებელი ალიკ მეტრეველი არც ღია ჩემპიონატებში შეარცხვენს თავის ქვეყნის სპორტულ ღირსებას. რაოდენ გასახარელია, მეგობრებო, ის ფაქტი, რომ მეტრეველი მარტო არ არის, მას მხარს უმშვენებენ ჩვენი ნონა, ჩვენი ომარი... მე მოგახსენებთ სან-სებასტიანის გმირზე. თუმცა მაპატიეთ! მსაჯის სასტვენო... რაშია საქმე? დიახ, დიახ! მსაჯმა მისცა ნიშანი! შეჯიბრება დამთავრდა. ცხრით სამი! — ასეთია საბოლოოდ კუთხურების ანგარიში. რაც შეეხება მატჩს, იგი დამსახურებულად მოიგეს აზერბაიჯანელმა ფეხბურთელებმა. ნება მომეცით, ამით დავამთავრო.

შეჯიბრება მოაწყო... მიჰყავდა გადაცემა...

ტია-ტია

სსრკ-ის ფეხბურთელთა ნაკრების ნახევარტაქელანსხედ გურთაზ ხურცილავას

გვესმის საამო სიტყვები: აი, ბურთი აქვს მურთაზსო, დამცველს ატყუებს!.. ჰა, გაცდა!.. კარში ძლიერად ურტყამსო. ...თამაშს აგებდით... გაცეცხლდი, დაცვაში ველარ გასძელი, წინ გაიჭერი, მეტოქის დაცვას დაეცი დამცველი.

წამიც და... გოლი! ბადეში ეხვევა ბურთი, ერთობა... დე, ბურთთან, მურთაზ, სულ გქონდეს ასეთი ურთიერთობა!

თუმცა ძალიან კარგია ნაკრებში ძალის მოკრება, მაგრამ თბილისის „დინამოს“ გგონია, აწყენს მოგება?

მის თავდასხმასაც უშველდე, ზოგჯერ რომ გვასხამს თავლაფსა, რომ დალასლასებს მინდორზე, თითქოს ვილაცამ დანავსა...

გვიან არ არის: ოცნება გვიქციე ოქროს მედლებად, თორემ ნაკრების ქულები „დინამოს“ არ ჩაეთვლება!

ბათუ მელია



გვიან სადამოს თუ დილით, ტარობს. საზრდოდ გაჩენილს, თვითნასწავლ ექიმებივით კბილებს აძრობენ მაჩვენებ.

მელია სხვას რად ჩამორჩეს, სოფელში მიდის მხნე გულით, რომ ქათმებს ყელი გამოჭრას ბასრი კბილების ლეკურით.

ხელებს შლიან და ჰკვირვობენ ტალიკ-ტალიკი ბიჭები: „თხებს ვუშვებთ საძოვარში და გვხვდება რქები და ჩლიქები“.

მხეცს მოსპობს ვისი ხელები, ვინ არის სოფლის იმედი? ჩიტებს დასდევენ ხმელებში ჩიხელი მონადირენი.

ვის აგონდება ნადირი, ვინ ემუქრება გაფატვრით? სკვინჩებს ემტვრევთ თავ-პირი სამგლე, სატურე საფანტი.

შეწვავენ, ინაწილებენ, ადგენენ, მეტი ვინ მოჰკლა, შორს, ქათმის ხორციტ გაძძარა, მელია ტუჩებს ილოკავს.


ჩიხელთ მონადირენო, სვით, იქეიფეთ ათას წელს, ტურა თუ კარგად გეყოლათ, რქებს არ მოგაკლებთ საყანწეს!

ალექსი ხუციშვილი



მემორული შარჟი ბ. შირსხასანსი

ტ. 6



— რას მიშვრებით?! ჩემს ცოლ-შვილს მერა ვინ არჩენს?

ფიქრი (სახლის მოძიება) ლომიძისა

პასუხისმგებელი მუშაკის — ჯუმბერ ლომიძის ცოლმა უეცრად განუტევა სული. ქმარი სამსახურში იყო და ამის შესახებ არაფერი იცოდა.

— როგორ მოვიქცეთ? რა ვქნათ? ვინ შეატყობინებს ჯუმბერს? — მსჯელობდნენ ნათესავები.

— არა, პირდაპირ რომ აქ მოვიდეს, არ შეიძლება, დიპლომატურად და წინდახედულად უნდა შევატყობინოთ, გული რომ არ გაუსკდეს, — ამტკიცებდა ერთი.

— ანზორ! — მიუბრუნდა ანზორს ჯუმბერის თვალცრემლიანი ბიოლა, — თქვენ ყველაზე კარგი მოლაპარაკე ხართ. მილით სამინისტროში, ოღონდ ერთბაშად არ უთხრათ, ისედაც სუსტი გული აქვს და არ გაუსკდეს!

ანზორი რომ სამინისტროში შევიდა, ჯუმბერი წერდა მოხსენებას — „როგორი უნდა იყოს ცოლ-ქმრის დამოკიდებულება მრავალშვილიანობის პირობებში“.

— გამარჯობა, ჯუმბერ! — ჩუმად თქვა ანზორმა, ჩუმად დაჯდა და ოფლი მოიწმინდა.

— რა სიტყვა, კაცო, ა? მოგვკვდი, ვაგთავდი კაცი! წერე, წერე! მე ხელს არ შევიშლი, ცოტას მოვიციდი და მერე წავალ. აგერ ვიყავი თქვენს გვერდით, გამახსენდი და შემოვიარე... თანაც პატარა საქმე მაქვს შენთან! — თქვა და ისევ მოიწმინდა ოფლი. — წერე, წერე! მე ისე გამოვიარე, ორ სიტყვას გეტყვი და წავალ!

ჯუმბერმა კალამი დადო და მოსასმენად მოემზადა.

— რა დახუთული პაერია თქვენთან, ახლა ქუჩაში ყოფნა საზოხება პირდაპირ. რა ნიავი ჰქრის, ნამდვილი ვაზაფხულია. ვსეირნობ რუსთაველზე და დიდებულად ვგრძნობ თავს, დამოუკიდებელი კაცი ვარ, ცოლი მე არ მაწუხებს და შვილი, მინდა რესტორანში შევალ, მინდა ქალაქგარეთ გავისეირნებ მანქანით. კარგია თავისუფლად ცხოვრება! როცა მინდა, მივალ სახ-

ლში და არავინ დამიწყებს გამოკითხვას: „სად იყავი?“ „რატომ დალიე?“ „ასე გვიან რატომ მოხვედი?“ „საყვარელთან იყავი, ხომ?...“

ჩემი თავის ბატონ-პატრონი მე ვარ. ბევრი აქებს, ჩემო ძმაო, ცოლ-შვილში ცხოვრებას, მაგრამ, მე რომ მკითხო, ცოლ-შვილი კატორღაზე უარესია... ეს მოდეები, კოსმეტიკა, ჭორიკანობა, სტუმრები... რომ იცოდე, ბავშვებიც ხარჯია და მეტი არაფერი! მითხარი ერთი, რა სჯობს, ძმაო, დაქვრივებას?

ოცნებაში გადასული ჯუმბერი გაკვირვებით ისმენდა მეგობრის უცნაურ ლაპარაკს. მერე ნადვლიანად გაიღიმა და ამოიხორცა:

— ეჰ, ვინ იქნება მაგისთანა ბედნიერი?

— ვინ და შენ, ჭკრივი ხარ, ბიჭო, ჭკრივი, მომილოცავს! — შებღვლა ანზორმა და ბავშვივით აწულქუნდა.

ატირდა ჯუმბერიც, თუმცა მაინც ვერ გაეგო, რაში იყო საქმე...

თინა ჟორჯოლიანი

ნამუსის გამყიდველი

(ზღაპარი)

იყო ერთი კაცი. აიჩემა: გინდა თუ არა, ნამუსი უნდა გაყვირო და უფრო ძვირფასი რამე ვიყიდო.

მიადგა ერთ გლეხს. სამას წელიწადსაც რომ ვიცოცხლო ყვაავივით, ნამუსი მაინც ჩემი მეყოფა, ან კი ნამუსზე უკეთესი რა უნდა იყიდო?! — გაუკვირდა გლეხს.

ჩაიქნია ხელი ნამუსის გამყიდველმა და მუშას მიამურა. ნამუსი შემირცხვეს, შენზე უნამუსო თუ ვინმე შემხვედროდესო, — შეუბღვირა მუშამ.

ისევ ჩაიქნია ხელი ნამუსის გამყიდველმა და ახლა სწავლულს მიადგა. ნამუსი მინდა გაყვირო, არც გლეხმა იყიდა და არც მუშამ, შენ მაინც ნუ მეტყვი უარსო, — შეეხვეწა. გაეცინა სწავლულს. აბა, მაჩვენე ერთი, სადა გაქვს ნამუსიო. აგერა მაქვსო, — უთხრა გახარებულმა ნამუსის გამყიდველმა და სასწრაფოდ გახსნა ბოხჩა, მაგრამ იქ ნამუსის ნატამალიც არ აღმოჩნდა. გაოცდა ნამუსის გამყიდველი: ალბათ გზაში დაშავდა, წავალ, მოვძებნიო. სწავლულმა უთხრა: ნამუსი შენ მაშინ დაკარგე, როცა მისი გაყიდვა გადაწყვიტე და ახლა მთელი ქვეყანა რომ გადააბრუნო, ვეღარ იპოვიო.

რადას იზამდა, დარჩა ნამუსის გამყიდველი სულ უნამუსოდ.

ზურაბ რატიანი



— „მაგრამ ვერსაით გადმოველ ამ სატიკლე მღინარას!“
— ამას რომ ცურვა ცოდნოდა, ესმე გაღარჩებოდა და ჩვენს!



ნახ. ბ. გორგაძისა

უსიტყვოდ

გაქვს

სისხამ დილით ჩემმა ძველმა მეგობარმა აქვსენტი გულჯარაძემ დამაფეთიანა, ვიღუპები კაციო.

- რა დაგემართა?
- დისერტაციას ვიცავ...
- მაგაზე გამისუთქე გული?!
- უნდა დამემართო!
- ბანკეტისათვის ფული გჭირდება?
- არა, დისერტაციას უნდა ჩავუჯდე ბიბლიოთეკაში!

— გაგიუდი?

— კი ნუ წაიკითხავ, გამოიწერე და წინ დაიდე, ერთი კვირა-ღა დარჩა დაცვამდე, არ მინდა, სპეციალისტებს ჩაუვარდეს სელში.

— დილიდან საღამომდე ბიბლიოთეკაში უნდა ვიჯდე?

— შენ ხომ შვებულებაში ხარ?

— შვებულება შენი დისერტაციის ყარაულთაში გაგატარო?

— მეგობარი ხარ, ყელს ნუ გამომჭერი!.. ვიცოდი, რომ ხათრი უარესსაც აკეთებინებს კაცს და დაგიწვიე ბიბლიოთეკაში სიარული. პირველ დღეს გამიჭირდა ყოფნა, ნაშუადღევს ჩამოვლინა კიდეც. მეორე დღეს შემთხვევით აქვსენტის დისერტაციის შინაარსით დავიინტერესდი. ყსაიდად გადამვიღოს რომ ჩავხედე, ძალიან ნაცნობ აზრებს წავაწყდი. უცებ გამახსენდა, რომ დისერტაციის დიდი ნაწილი იმ კონსპექტიდან იყო გადაწერილი, რითაც გამოცდები ჩავაბარეთ. სულ გადამაფიწყდა, სად ვიყავი და გაკვირვებისაგან ტაში შემოვყარი...

საჯარო პაექრობისათვის დანიშნულ დღემდე პირნათლად შევასრულე ჩემი მოვალეობა, დისერტაციას უცხო სული არ შევხვია.

დისერტაცია რომ ბიბლიოთეკას ჩავაბარე, აქვსენტმა მზამზარეული რეცენზია შემომარჩენა და არაოფიციალურ თონენტად გამომხვალო, გამაფრთხილა. მე უარის თქმა ვცადე, მაგრამ არ გამივიდა.

დადგა დისერტაციის დაცვის დღეც. აქვსენტი გულჯარაძემ დიდხანს ილაპარაკა საკუთარი ნაშრომის ღირსებაზე. შერე წინასწარ გულითადი მაღლობა გადაუნადა სამეცნიერო საბჭოს წევრებს, როგორც თბილქტურ მსაჯულებს ყურადღებისათვის და დაჯდა.

წაიკითხეს სხვადასხვა ქალაქიდან მოსული სპეციალისტების 33 რეცენზია, რომელთაშიც იმდენი ქება-დიდება იყო, რომ საბჭოს წევრები აშკარად გამოხატავდნენ კმაყოფილებას.

მხოლოდ სამი კაცს ჩამოსტიროდა სახე. ესენი იყვნენ სადისერტაციო თემის ვიწრო სპეციალისტები.

ოფიციალური თონენტების შემდეგ ჯერი ჩემზეც მოდგა. ჩავიკითხე დისერტანტის მიერ ჩემთვის დაწერილი რეცენზია. ბოლო სტრიქონებმა ისე გამიტაცა, რომ, ჩემდა უნებურად, თვალი მოვამორე ტექსტს და სასოგადობას მოვასხენე ჩემი საკუთარი აზრიც... გამახსენდა სტუდენტობა, სასწავლომდგომლობის უქონლობის გამო რომ მხოლოდ კონსპექტებით ვაბარებდით გამოცდას და... სამეცნიერო საბჭოს წინაშე ვიმუშავემდე აქვსენტის ნაშრომის დასტამბვა.

დარბაზი ტაშის ვრიალით შესვდა ჩემს გაბეღულ, ორიგინალურ აზრს.

დისერტაციის დროს გულჯარაძე და მისი ოფიციალური თონენტები დაბლერული მიყურებდნენ. ჯერ ვიფიქრე, მეწვევება-მეთქი და მათ სათითაოდ ერთი-ორჯერ ყალბადაც გაუვლიე, მაგრამ ამოღ...

როდესაც სიმთვარე მოგვერია, ჩემთან მოვიდა პირველი ოფიციალური თონენტი და თვალეში ზიზლით ჩამსედა.

— გადაამაშეთ, ყმარელო! — გამყინავი ხმით მითხრა მან.

— ბატონო პროფესორო, განა ცუდია, რომ დაიბეჭდოს?

— ძალიან ცუდი!

— მაინც რას დაკარგავს დისერტანტი, ნაშრომს გამოუქვევებენ?

— ხარისხს!...

— ასე რას ჩაუბრუნებოდასართ? ბიბი ხომ არა ხართ?!

— არა, უბრალო ვარ!



ნახ. ვ. მიხეილაძისა

ნახ. ვ. ლომიძისა



ინგლისის რადიოსადგური ბი-ბი-სი ფალსიფიკაციის რუკა.

ბი-ბი-სი და სონ-დი-ნი!
 24.VI 68



მთავარი რედაქტორი ნოდარ ლუმაბაძე

სარედაქციო კოლეგია:
 % ბოლძეძე (პ/მზ. მღვივანი),
 ს. კლდიაშვილი,
 ნ. მაღალონი,
 ბ. ნიშნიანიძე,
 (მთავ. რედ. მოადგილე),
 ნ. შვილიძე,
 ო. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის შურნალი „ნიანი“.

ნიანი

თბილისი, რუსთაველის არსაკაბტი № 42

ტელ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32. საერთო განყოფილების 93-10-78.

Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Ниани». № 33. 1968 г. 5/VI. 1968 г. 1 № 3. 1.4. ფიზიკურ ფორმატა რედაქციო 1. პირობითი ფორმატა რედ. 2. № 33. 33-ის გამოცემა ბის კ/ომიონატი. თბილისი, ლენინის ქ. № 14. შპაპ. № 2115. შე 02206. ტირაჟი 90.300.

ბ. სორნაბუჯალი



დაღასი, 1968 წ.



აი,
ჩა დაიკავეს იქაილი
პრეზიდენტი
ლინდონ ჯონსონი.

„ჩვენი ქვეყანა აღმავლობის
გზაზე ღვას...“

„ჩვენ საქმომ ძალა შეგვანებს,
ჩათა

ხელი შევეწყობთ ჩვენს
ქვეყანაში
აღამიანური ღირსებისა
და


კავთომოყვარების
განგაჩიხების საქმეს“

„აღამიანის იმედებს
ურთები არ უნდა
შეუკვეთოს მისი კანის
უარება...“

„ეროვნული მთავრობა
ყოველგზის

უნდა ეხმარებოდეს გზაგასსა
და ქალაქებს
დანაგაულობათა წინააღმდეგ
ბრძოლაში...“

ფოტომონტაჟი ნ. მაღაზონიასი



მეგობრები, 1968 წ.



ლოს ანჯელესი 1968 წ.

